დანართი №1

შ.პ.ს. ტელეკომპანია „ტვ 25“-ის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

TV 25

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელეკომპანია ტვ 25-ის მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ერცელდება „ოფერტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“)

ქ. ბათუმში და მის მიდებარე ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოება DVB-T (EN300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8K, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15მგბტ. წამისა:

1.1. ოფერტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ბათუმი, ხელვაჩაური ომბალაურის ანძა.

1.2. აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრულიტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.3. ოფერტის მიერ შეერტების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა; ციფრული ინტერფეისი (SD/ HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2. „ოფერტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1. ქ. ბათუმის და მიხი მიმდებარე ტერიტორიის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით (2.15 მგბ/წმ 1075 ლარი დ.ღ. ჩათვლით).

3. „ოფერტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1. აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა.

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 1 მარტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

შ.პ.ს. ტვ 25-ის დირექტორი: /მ. ფრანგულაშვილი/

TV 25

TV 25
შ.პ.ს. "ტვ 25"
L.T.D."TV 25"
ქ. ბათუმი, ჯიბაძის 168 (0422) 27 59 25 tv25@tv25.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

თქვენი 2017 წლის 23 თებერვლის №16/582-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ, 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 მარტამდე შ.პ.ს. „ტელეარხი-25"-ის ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმაში ჩართული იყო შემდეგი ავტორიზებული მაუწყებლები:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (აჭარა) 2016 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 30 ივნისამდე ციფრული ინტერფეისი SD 3 მგბ წამში, (საცდელი მაუწყებლობა)

2. შ.პ.ს. ტელეკომპანია „კავკასია" 2016 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ციფრული ინტერფეისი SD 3 მგბ წამში, (2016 წლის 1 აპრილიდან 31 მაისამდე საცდელი მაუწყებლობა)

3. შ.პ.ს. „ხარისხის არხი" 2016 წლის 7 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე ციფრული ინტერფეისი SD 3 მგბ წამში

4. შ.პ.ს. „ტელეარხი-25" 2016 წლის 1 აპრილიდან ციფრული ინტერფეისი HDMI 6 მგბ წამში.

ამჟამად თავისუფალი რესურსი შეადგენს 21 მგბ წამში. იმ შემთხვევაში თუ დარჩენილ თავისუფალ რესურსზე იქნება მოთხოვნა რომელიმე ავტორირიზებული მაუწყებლის მხრიდან კანონის შესაბამისად თავისუფალი რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფთ მაუწყებლის დაშვებას საკუთარი მულტიპლექსით გასავრცელებლად შესაბამისი ტარიფით.

იხ. დანართი 1 (მოწვევის ოფერტა)

პატივისცემით

შ.პ.ს. „ტვ 25"-ის დირექტორი: /მ. ფრანგულაშვილი/